გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ. გარდაბანი

30 სექტემბერი 2026 წელი 11⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამირ ხიალოვი;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ონიანი;
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვუგარ მამედოვი;
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ნიჟარაძე;
5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე;
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი;
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;
8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დავით ჭინჭარაული;

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ხალხის ძალა" თავმჯდომარე - ოთარი გავაშელიშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგი მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შორენა ჭუმბურიძე.

დღის წესრიგი

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*მომხსენებელი: **შორენა ჭუმბურიძე***
*თანამომხსენებელი: **ზურაბ გენდელიანი***

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

4. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

5. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

6. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

7. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: შორენა ჯუმბურიძე

თანამომხსენებელი: ზურაბ გენდელიანი

8. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***

თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

9. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***

თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

11. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

12. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა, საკითხები განსახილველად გამოეტანათ დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც ცვლილებების განხორციელება იგეგმება მერიის ხუთ პირველად სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახური;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური;

დ) წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ე) ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.

მიმდინარე რეორგანიზაციის მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და განხორციელებულ ცვლილებებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 2

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება განპირობებულია 2026 წლის 19 აგვისტოს ბ18. 18262318 ბრძანების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული რეორგანიზაცია, აღნიშნული რეორგანიზაციის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდება მერიის ხუთ პირველად სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ:

1. იცვლება ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურა:
2. იცვლება საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურისა და მისი ერთ-ერთი მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება, ასევე იცვლება სამსახურის სტრუქტურა.
3. იცვლება განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურისა და მისი ორი განყოფილების სახელწოდებები, სტრუქტურა, ხოლო ერთი განყოფილება უქმდება.
4. იცვლება წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სახელწოდება, სტრუქტურა, უქმდება ერთი განყოფილება.
5. იცვლება ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის სტრუქტურა.

ზ/ა გამომდინარე . იცვლება საშტატო ერთეულის რიცხოვნობა, 212 ერთეულის ნაცვლად განისაზღვრება 205 საშტატო თანამდებობა. უქმდება 8 და ემატება 1 ახალი თანამდებობა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 3

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია,

რეორგანიზაციის პროცესში იცვლება ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურა, კერძოდ:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დაქვემდებარებიდან გადადის შესყიდვების განყოფილება;

ბ) წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დაქვემდებარებიდან გადადის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;

შესაბამისად, რეორგანიზებული ადმინისტრაციული სამსახური წარმოდგენილი იქნება ხუთი განყოფილებით:

ა) მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება;

ბ) იურიდიული განყოფილება;

გ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

დ) საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;

ე) შესყიდვების განყოფილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 4

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის პროცესში იცვლება საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის სტრუქტურა:

ა) იცვლება სახელწოდება და საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ნაცვლად ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური“;

ბ) მისი დაქვემდებარებიდან ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში გადადის შესყიდვების განყოფილება;

გ) იცვლება საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სახელწოდება შემდეგი სახით: „საბიუჯეტო განყოფილება“;

შესაბამისად, რეორგანიზებული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოდგენილი იქნება სამი განყოფილებით:

ა) საბიუჯეტო განყოფილება;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება;

გ) სახაზინო განყოფილება;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 5

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის პროცესში ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში:

ა) დაემატება ახალი განყოფილება - „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება“;

შესაბამისად, რეორგანიზებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური წარმოდგენილი იქნება ორი განყოფილებით:

ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება;

ბ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11
წინააღმდეგი – 0

საკითხი 6
„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის პროცესში იცვლება წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურა:

ა) იცვლება სამსახურის სახელწოდება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახური“;

ბ) საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება გადადის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში;

გ) უქმდება ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება.

შესაბამისად, რეორგანიზებული წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახური წარმოდგენილი იქნება ერთი განყოფილებით: „წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 7

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 19 აგვისტოს №18.18262318 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის პროცესში განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურში:

ა) იცვლება სამსახურის სახელწოდება და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის ნაცვლად ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური“;

ბ) იცვლება „განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების“ სახელწოდება და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „განათლებისა და კულტურის განყოფილება“;

გ) იცვლება ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და სპორტის განყოფილების სახელწოდება და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება“;

დ) უქმდება გენდერული თანასწორობის განყოფილება;

შესაბამისად, რეორგანიზებული განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური წარმოდგენილი იქნება ორი განყოფილებით:

ა) განათლებისა და კულტურის განყოფილება;

ბ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 8

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს,

უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში დამატებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს/კ №81.15.08.501 უძრავი ქონების დამატება და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებით დამტკიცებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან ს/კ №81.12.20.632 და ს/კ №81.12.17.389 უძრავი ქონების ამოღება, ვინაიდან უნდა განხორციელდეს ს/კ №81.12.20.632 და ს/კ №81.12.17.389 უძრავი ქონების (სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების) გადაფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 9

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ:

უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს/კ №81.15.08.501 უძრავი ქონების დამატება და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებით დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმიდან ს/კ №81.12.20.632 და ს/კ №81.12.17.389 უძრავი ქონების ამოღება, ვინაიდან უნდა განხორციელდეს ს/კ №81.12.20.632 და ს/კ №81.12.17.389 უძრავი ქონების (სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების) გადაფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 10

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ,** და განმარტა რომ პროექტის თანახმად 2026 წლის მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმიური საკითხების განხილვა:

დანართი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა

№	გეგმური საკითხები	პერიოდი
1	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის შემაჯამებელი ანგარიშის მოსმენა.	მეოთხე კვარტალი (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი)
2	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის შემაჯამებელი ანგარიშის მოსმენა.	
3	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის ანგარიშის მოსმენა	

4	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის შემაჯამებელი ანგარიშის მოსმენა.	
5	სოციალურ საკითხა კომისიის 2026 წლის შემაჯამებელი ანგარიშის მოსმენა.	

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 11

საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ სექტემბრის თვის ხარჯები თანდართული ცხრილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

საკითხი 12

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ,** მომხსენებლის განმარტებით საჭიროა ცვლილება განხორციელდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01/05/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016575) დამტკიცებულ დანართში, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესი“, კერძოდ:

1. დანართის მეორე მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ვ) ქვეპუნქტი;
2. დანართის მეოთხე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე:

2.1 ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე (ფალავანთა ფალავანი) :

პირველი ადგილი - არაუმეტეს 3000 ლარისა;

მეორე ადგილი - არაუმეტეს 2500 ლარისა;

მესამე ადგილი - არაუმეტეს 2000 ლარისა.“.

2.2 ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნობაზე წონით კატეგორიებში :

პირველი ადგილი - არაუმეტეს 2000 ლარისა;

მეორე ადგილი - არაუმეტეს 1500 ლარისა;

მესამე ადგილი - არაუმეტეს 1000 ლარისა.“.

ბიუროს წევრების მიერ, წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა, ვინაიდან, საკითხის განხილვისას გამოიკვეთა მისი დამატებითი დაზუსტებისა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საჭიროება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0

წინააღმდეგი – 11

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე : **მიხეილ გედეხაური**